თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 16 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – “ზენიტი” (ლენინგრადი) – 2:0 (0:0).

“დინამო” – ს. კოტრიკაძე, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, ა. კოტრიკაძე, რამიშვილი, ხასაია, გაგნიძე (ქვლივიძე), ღოღობერიძე, იამანიძე, ჭკუასელი.

“ზენიტი” – ფარიკინი, გეკი, შიშკოვი, მეშჩედრიაკოვი, ბელკოვი, ზავიდონოვი, ვინოგრადოვი, ცარიცინი, დენისოვი, ბონდარენკო, ივანოვი.

მსაჯი: ვ. ბარაშკოვი (მოსკოვი).

დაიწყო თუ არა მატჩი, ცხადი გახდა “ზენიტის” სამოქმედო გეგმა – იმ მიზნით, რომ ტექნიკურად და ტაქტიკურად მათზე უფრო ძლიერი მოწინააღმდეგისათვის არ მიეცათ გაშლილი, აწყობილი თამაშის საშუალება, ლენინგრადელებმა თავიდანვე მეტად მაღალი ტემპი აიღეს. ამ “გამოწვევას” საფუძვლად ედო ის, რომ “ზენიტის” მოთამაშეები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული, შეუძლიათ შეინარჩუნონ მაღალი ტემპი, დიდი სისწრაფე, შეუძლიათ ითამაშონ დიდი დატვირთვით.

ასეთ გეგმას შეიძლება თავისი გამართლებაც აქვს, მაგრამ თბილისის “დინამოს” წინააღმდეგ ტემპში თამაში არც ისე იოლი საქმეა. გავიდა ათიოდე წუთი და ტემპის გამგებელნი უკვე თბილისელები იყვნენ, ხოლო ლენინგრადელები “ყრუ დაცვაში” ისხდნენ და ძლივს ასწრებდნენ ძლიერი იერიშების მოგერიებას.

დინამოელთა ეს იერიშები თითქმის მთელი ტაიმის განმავლობაში გრძელდებოდა. ვინაიდან ღოღობერიძე, როგორც ყოველთვის, უკან იყო დაწეული, მის ზონაში ხშირად შემოდიოდა ჭკუასელი და ამის გამო შეტევის ძირითადი სიმძიმე დააწვა მარჯვენა ფლანგს. სწორედ აქედან იქნა ზედიზედ მოწოდებული კუთხური საჯარიმო დარტყმები, რომელსაც თბილისელები მეტად მახვილგონივრული კომბინაციის სახეს აძლევენ: ბურთს აწოდებს ხასაია, მასთან სულ ახლოს მიდის ელოშვილი, რომელსაც თან მიჰყვება ერთ–ერთი მცველი. იგი კეტავს გზას ხასაიასა და ელოშვილს შორის, მაგრამ თავისუფალი რჩება ზოლი პირით ხაზსა და მას შორის, საითაც სწრაფად გადის ელოშვილი, ღებულობს ბურთს და მოწინააღმდეგის კარი უკვე აშკარად საფრთხის წინაშეა. დინამოელებმა სამჯერ წარმატებით გაიმეორეს ეს მანევრი და მხოლოდ ამის შემდეგ მოახდინეს ზენიტელებმა ბონდარენკოს “მობილიზაცია” თავდასხმიდან, რათა თავი დაეცვათ ამ ერთობ უსიამოვნო კუთხური საჯარიმოსაგან.

25 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა სტუმართა კარის შტურმი, “ზენიტის” ყოველ ცდას – დაებრუნებინა პირველი წუთების ტემპი, შედეგი არ მოჰყოლია. მართალია, მათმა თავდამსხმელებმა შეძლეს ორი სახიფათო მომენტის შექმნა, რომელთაგან ერთი დენისოვის არაზუსტი დარტყმით დამთავრდა, ხოლო მეორე – ს. კოტრიკაძის ლამაზი ნახტომით. “დინამოს” დაცვას ამჯერადაც მოფიქრებულად, ოსტატურად ხელმძღვანელობდა ძიაპშპა.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ მთელი ტაიმის განმავლობაში, ბრძოლას მეტად დაძაბული ხასიათი ჰქონდა. ლენინგრადელები თავგამოდებით იცავდნენ თავიანთი ნახევრის “ყოველ მტკაველს”. ტაიმის დასასრულს მათი კარი ორჯერ აღმოჩნდა

გაგრძელება არ არის

“ლელო”, 18 აპრილი, 1957 წ.